ზურაბ ანტონოვი

მე მინდა კნეინა გავხდე

(კომედია ორს მოქმედებად)

მოქმედნი პირნი

მინას პეტრუზიჩ შაჰყულოვი – ვაჭარი, მეზობელი ქვრივის ბარბარესი და კრედიტორი თ. დავით სერაშიძისა.

ბარბარე თულუხჩოვისა – მდიდარი ვაჭრის ქვრივი და ბებერი, მსურველი კნეინობისა.

კეკელა – მაზლის ქალი ბარბარესი

თავადი ილიკო გუგენიძე – მილიციის პრაპორშჩიკი, საყვარელი კეკელასი.

დავით სერაშიძე – ღარიბი და ქვრივი თავადი, მოვალე ვაჭრის შაჰყულოვისა.

გრიგოლ ბეგლაროვი – ნათლია კეკელასი

კვარტალნის ნადზირატელი

დესეტნიკი

პეტრიკი - იმერელი, ბიჭი ვაჭრის შაჰყულოვისა

სტუმრები

მოქმედება ტფილისს, თულუხჩოვების სახლში.

მოქმედება პირველი

გამოსვლა პირველი

მინას, მერე გიორგი და მეტრიკა

(სცენა წარმოადგენს ზალას, მებელით მორთულს; ზალასა აქვს კარები აქეთ-იქით და შუაზედ; მარჯვნივა აქვს ფანჯარა, ფანჯრის წინა სდგას დივანი, დივანს წინ კრუღლი სტოლი, სტოლზედ ძევს ქაღალდი და საწერ-კალამი; სტოლს აქეთ-იქით უდგია კრესლოები; მარცხნივ დგას ლომბერნის სტოლი; სტოლზედ ძევს დიდი ფულის ყუთი და აქეთ-იქით უდგია სანთლით შანდლები. ვაჭარი მინას შაჰყულოვი არის მისვენებული

დივანზედ ნაღვლიანის სახით; ყელზედ ოქროს მედალი ჰკიდია. ფარდა აიხდება. ადგება და გაჯავრებით ამბობს პუბლიკისაკენ.

მინასა – ამისთანა უბედურმა იქნება, ჩემი თავზედ მოდის! ერთ ყალამათ გავფუჭდა, რაღა. ვა! ჯერ ჰალა ერთი ჩემი პრიკაშჩიკმა ნუხში გაკუტრებულა, სამასი თუმანი უჭამია; ერთიც აშტრახანში გემმა გატეხილა, სამასი თუმნის ქვილმა გამფუჭებია; ახლა ეს ქართველი დავით კნიაზიც გამკუტრებია, ექვსასი თუმანი იმანა სჭამს, იმისი იმენიე სულ პრიკაზი წაუღია თავისი ვალში. ერთიც ეს ჩემი ცოლი მუცელი ტკიულობს, ერთი ქალი იმან შობამს, ხუთასი თუმანი იმან ზითვის ქრთამათ მოუნდება. წავედი, გავფუჭდი რაღა! ვა, მერე უნდა თქონ, გაკუტრდაო! (მიესვენება დივანზედ, ცოტას ხანს დაფიქრდება, მერე ადგება და იტყვის სიხარულით) ეს კარგი ფიქრმა ვქენი: ეს ჩემი მეზობელი ბარბარუა კნეინობა უნდა. ამან ბევრი ფულები აქვს მოდი, ეს ჩემი კუტრი ჯნიაზი შევრთამ. ერთიც, ეგები ფულებმა გავასაღო. ეხლა მგონია ბარბარეც იმიტომ დაუძახნივარ, მკითხოს, როგორი თავადია. წორე მოგახსენოთ, თვალათ, თანათ ძალიან კარგია, მაგრამ (ხელს დაიკრამს ჯიბეზედ) ჯიბესთან ცოტა მწყარალია. ეჰ, ერთიც ჩემი ფულებმა გავასაღო! ვეტყვი, მდიდარია, თქვენმა მზემ, და ერთი კატა კი არა ყავს, ჰა!

გიორგი - (შემოვა მარჯვნივ და ეტყვის მინასას) აღა, ქალბატონმა ცოტა მომითმინე, ეხლავ გიახლებიო, თქვენთან საქმე მაქვსო.

მინასა – რა საქმე აქვს ბიჭო? იმან ქმარმა ხომ არ უნდა?

გიორგი – რა მოგახსენო, ბატონო, მგონია კნეინობა უნდა.

მინასა – ბას, წადი უთხარ, მოგიცდი, უთხარ (გიორგი გავა მარჯვნივ და მერე მინასა იტყვის პუბლიკისაკენ სიხარულით) აბა, ახლა გასაღდა ჩემი ფულებმა. აი, რო ვთქვი, კნეინობა უნდა – ეთქი (გაკვირვებით) მაგრამ, ჰალა, როგორ მოვხვდი? (თავზედ ხელს დაიდებს) ეს თავი რომ სამსეა და მიხვედრა იმან იცის, თქვენმა მზემა, და. ძველი დრო რო ყოფილიყო, ამ ჭკუითა, რას ბძანებთ, მდივანი გამხდიდნენ, ჰა. (თავს გაიქნევს და გაოცებით) უჰ... უჰ... უჰ, ასეთი ოქმი კი დავწერამდი, წორეთ ქვა კი გახეთქდა, ჰა!

გიორგი – (შემოვა მარჯვნივ და ეტყვის) აღა, თქვენი ბიჭი გახლავსთ.

მინასა – მოვიდეს, უთხარ

(გიორგი შუა კარს გაუღებს პეტრიკას, შემოიყვანს და თითონ მარჯვნივ გავა)

პეტრიკა – აღა, აქანა მობძანდიო.

მინასა – რა მინდაო, ბიჭო?

პეტრიკა – ცოლს ძალიან ქვე გიტკივა მუცელი, მოეშველეო.

მინასა – (დივანზედ მიესვენება გაჯავრებულის სახით და ბიჭს ხელს აუქნევს) ასა გალისიმ!

პეტრიკა – (ცოტას დაუცდის და მერე) აღა, ქვე რას მიბრძანებ?

მინასა – ვა, ტო, ასა გალისიმ, ელი!

პეტრიკა (პუბლიკისაკენ) რავა დაბნეულს მეუბნება უბედური, ვერ გევიგე (აღას) აღა, ქვე რას მიბძანებ, მინდა გიახლო?

მინასა – (გაჯავრებით) ვა, ყრუ ხარ, ბიჭო! უთხარ, მოვდივარ, რაღა, ვა! (პეტრიკა გავა შუა კარიდან, მინასა ადგება და პუბლიკსაკენ ლაპარაკობს): ვა, არ დამაცლიან, აქ ბარბარესთან რამე ვქნა. ერთიც, ეგები ჩემი ფულებმა გავასაღო. ჰალა, ეს სულ ჩემი სიდედრუას საქმე იქნება, იმან ეტყოდა, გნა. ფესიან კანჩე, რა არის, ერთიც დოხტური მოვიყვანო, ჩემი ცოლი კიდენ ქალი მოაშობოს. ცა, არ მეყოფა, ექვსი ქალი მყავს, რო კიდენ მეშვიდეც არ მიშობოს. მოკვდება? ჯანი დავარდეს, თუ მოკვდება! წორე მოგახსენოთ, და, ერთი ხუთი წელიწადი რო კიდენ იცოცხლოს, წორეთ დუჟინი შემითავებს, ჰა, მერე (თავს გაიქნევს) იქიე კამბეჩივით უღელი, მინას პეტრუზიჩ. ჩემი ქოფაკი სიდედრუა დარდ გასწევს? იმისი ოჯახის დაქცევამა, კაი ჯინშისა რამე მამცა, ჰა, წელიწადში ერთი ქალი კი არ ააცდენს და, მერე ბერწობაც რო არ იცის.

გიორგი – (შემოვა მარჯვნივ და ეტყვის) აღა, კიდევ გახლავთ თქვენი პეტრიკა.

მინასა – (გაჯავრებით) ვა, ხათაე, ახარ, რა მინდაო?

გიორგი – რა მოგახსენო, ბატონო.

მინასა – ერთი დაუძახე, მამა გიცხონდება.

გიორგი – (გავა შუა კარიდან და შემოგზავნის პეტრიკასა)

პეტრიკა – (შემოვა შუა კარიდან ტვირილით) აღა, ჩქარა, ჩქარა, თვარა წახდა კაკალი კაცი.

მინასა – (გაოცებით) ვა, გიჟე! რა კაკალი წახდა?

პეტრიკა – (ქაქანით) ჰ... ჰ... ჰ... დიდმა ქალბატონმა დეგიბარა, ფიცხელ მოდი აქანა, ფიცხელო.

მინასა – ვა, იმან ფიცარი რათ უნდა, ბიჭო?

პეტრიკა – რავა ფიარი, ფიცხელ არ იცი? ჩქარა მოდიო, ჩქარა.

მინასა – ახარ, რა მინდაო?

პეტრიკა – ქალბატონი დეიწურაო.

მინასა – ვა, დეიწურა, მაჭარია?

პეტრიკა – ბატონო, მთლა დეილია.

მინასა – ტო, ყურუმსაღ! დაილია გლდანის ღვინოა?

პეტრიკა – (პუბლიკსაკენ) ანჩხლი ქვე კი ყავს სიდედრი, ქვე კი გადარევს, ვერა შევაგნებიე რა უბედურსა (აღას) ცოლი ქვე გიკვდება. ახლაც ვერ გეიგე?

მინასა – ბას, წადი, კუბო ანახვინე, მეც ბარბარესთვინ ხელათ საქმე ვიქ და მოვალ.

პეტრიკა – რავა კუბო ვანახვიო?! აპა, ცოლს არ მოარჩენიებ ტკივილიდან? მოსარჩენათ ქვე გიბარებენ. რავა ოხრათ დაარჩენ მაგ შენს დოვლათს, თუ ცოლს არ მოარჩენიებ!

მინასა – (პუბლიკსაკენ) ვა, გიჟე. ეს გაგიგონიათ?! (ბიჭს) ტო, ახმახ, ჩემი ცოლისთვის შენ დარდობ?

პეტრიკა – (იქით) აპა, ჯანი შენც წაგივიდეს და მასაც. თუ არ მოარჩენიებ, კი არ მოჰკლამს მისი მჯავრი პატრიკას! (აღას) მე კი არ ვდარდობ, მარა შენი სიდედრი ქვე კი არ გეშვება.

მინასა – ვა, ახარ, იმან რა უნდა ჩემგნით? იმან ხომ არ შემირთმს ცოლათა, არ წავა ჩემის სახლიდგან!

პეტრიკა – ქვე, აჰა, ახლა იმას ჰკითხე (ხელს გაშლის) მთლა იბდღვნის უბედური, ისტე გაჰკივის, რავარც ქორი.

მინასა – ვა, გაჰკივის სატარაა?

პეტრიკა – ვინცადა უნდა იყოს, რას დავეძებ, მარა ცოლს ქვე კი უპატრონე, იქნება ვაჟი გეყოლოს.

მინასა – ვაჟი, ჰოო... მამა გიცხონდება, ალექსანდრე მაკედონელი იქნება, ჰა!

პეტრიკა – მაკედონი რავა იქნება, ბეჩა მამა მინასა ჰყავს და თავათ პოღოსა იქნება.

მინასა – ერთიც, ვაჟი არ იყოს, ქალი იყოს, მერე?

პეტრიკა – (იქით) აპა, ჯანი მასაც წოუვიდეს და მის პატრონსაც! (აღას) აღა, იქნება ქალი უფრო ბედნიერი იყოს.

მინასა – ჰო... ერთიც, თამარ დედოფალმა გახდება, ჰა!

პეტრიკა – დეიჯერე, აღა, ქვეც კი ვაჟი გეყოლება, მე წუხელის მეზმანა.

მინასა – მერე ვინ გაგზმონა, ბიჭო, გაზანდრის ადლი იყო, თუ არშინი?

პეტრიკა – იიმე, რავა გამზმანეს. ზმანება არ იცი? სიზმარი ნავხე.

მინასა – ეგრეთ-თქო, მამა ცხონებულო. მერე რა ნახე?

პეტრიკა – ბაბუაჩემი ლეკუნიკი ნავხე. მეუბნებოდა, რომე ჩვენმა ბერმა ღორმა ტახი გოჭი მეიგოო. ჰო, აპა, მე ტახი გოჭი ვაჟად ქვე მყავს დაცდილი.

მინასა – ოჰ. ღმერთმან აცხონოს იმანა! ეგ სიზმარი თუ წორეთ ახდა და, იმისი სახელზედ ერთი ულაყი ღორი დავჰკლამ, ჰა. ბას, წადი შინა, უთხარი, მეც მალე მოვალ, უთხარი (გავა პეტრიკა შუაზედ და ბარბარე შემოვა მარჯვნივ).

გამოსვლა მეორე

მინასა და ბარბარე

ბარბარე – უკაცრავათ, მინას პეტრუზიჩ! დაგაგვიანე, მაგრამ მეზობელმა ბძანდები, ამისთანაში უნდა გამამადგე. თქვენთან ცოტა საქმე მაქვს.

მინასა – რა საქმე? თუ შემიძლიან, გავაკეთებ, მაგრამ მაჭანკალმა კი ნუ გამხდი, ჰა, ჩემი საქმე არ არის(პუბლიკსაკენ) ერთიც ეგები ჩემი ფულებმა გავასაღო, მუნათი არა მაქვს.

ბარბარე – არა, ტყუილათ უარს ნუ მეუბნები, ჩემი გულისთვინ უნდა გაისარჯო, არც შენ დარჩები უსარგებლოთ.

მინასა – (გახარებით) ბას, მითხარ ელი.

ბარბარე – დაბძანდი, მოგახსენებ(ორივ დასხდებიან კრესლებზედ და მერე ბარბარე ეტყვის) ჩემი გარემოება თქვენ კარგათ მოგეხსენებათ: დოვლათი ბევრი მაქვს, ჩემიცა მქონდა, ახლა ოროლი ქმრებისაც დამრჩა. ეს სახლ-კარი და ზინათეულობაც სხვა არის. ამისთანა დოვლათის პატრონი სახელოვანი არა ვარ, ჩემი ქრმები უბრალო კაცის შვილები იყვნენ. აბა, რა არის ერთი მყვანდა დაბადოვი, მეორე თულუხჩოვი. სადმე რომ მივდიოდი, ამბობდნენ: ეს თულუხჩაანთ რძალია. ბიაბრუ ვხდებოდი. ახლა მინდა ერთი კარგი ვინმე შევირთო, რომ მეც ხალხში რამე ვიყო, ჩემი დოვლათი სულ იმან მივცემ, ოღონდ ერთი კნეინა გავხდე.

მინასა – მერე, ვინ გინდა შეირთო?

ბარბარე (გაწითლდება და მორცხვობით) თქვენი მეგობარი დავით კნიაზი.

მინასა – (აძნელებს) უჰ... ეს ერთი დიდი ვინმეა, იმასთან ძალიან ძნელია გარიგება. უჰ, ის რომ შეირთო და, დიდი ვინმე არ იქნები!

ბარბარე – მეც იმიტომ გეხვეწები, რომ შენ ყველა შეგიძლიან.

მინასა – ახარ, ეგ ძალიან კარგი, მაგრამ შენი მაზლის ქალი, კეკელუა, რას უზამ? იმან პანციონში გაზდილია, დოვლათი სულ იმან წაიღებს, იტყვის: ნასლედნიცა ვარ.

ბარბარე – მე იმისი საქმე კიდეც მომიხერხებია; ერთი ნუხელი ჩასპანდი ჩინოვნიკია, იმან ვაძლევ. ერთი ორასი თუმანი ფულათ მივცემ, ასი თუმნისაც ზითევი და სხვა სულ მე დამრჩება.

მინასა – მერე კეკელუაც ყაბულობს?

ბარბარე – იმან ვინ აკითხებს.

მინასა – ვა, ერთიც იმისი ქმარი დავი დაგიწყოს, მემრე?

ბარბარე – მაგისი შიში არა მაქვს. თუ ფული, თუ ზინათი, თუ ვექსილები სულ ჩემი ხელშია. იმან არაფერი იცის, თუ რა გვაქვს და რა არა.

მინასა – ახარ, არალუხში იმ ცხონებულის ნაქნარი დოვლათი რა ერთი უნდა გქონდეს?

ბარბარე – ერთი ოთხი ათასი თუმანი ფული მაქვს, ათას ორასი თუმანისა ვექსილები, სულ სადი კაცებისა, ათასი თუმნისა მეტი ზინათი და ეს სახლებიც თავისი მოწყობილობითა (დაანახვებს დეკორაციას) აქედან ერთი სამასი თუმანი კეკელუას მოვახმარებ და სხვას სულ კნიაზი მივცემ, მაგრამ იმანაც ხომ კარგი ვინმეა?

მინასა – (გაკვირვებით) ვა, ეგ რა სათქმელია! ერთი დიდი ვინმეა, რუსები სულ უძახიან: პომეშჩიკ პუსტო პუროჟნოი დერევნი რუსულათ ხომ გესმის?

ბარბარე – ჰალა, როგორ არ მესმის, დიდი სოფლისა და ყმის პატრონიო.

მინასა – ჰო... ვაცხონე მამაშენი, კარგი რუსული გცოდნია.

ბარბარე – (სიცილით) ეჰ, კარგი, მინასჯან, ხუმრობა გაუშვი და ერთი როგორმე მომიხერხე.

მინასა – მაგას მოვახერხებ, მაგრამ შენც ერთი ჰავლაბარში მკითხავი აკითხვინებდი, იმან წორეთ შეგირთამს თუ არა.

ბარბარე – ვკითხე, იმანა თქო, წორეთ შეგირთამსო, დიდი ხანია შენზედ თვალი უჭირამსო.

მინასა – აბა, ვინც შენი ფულებმა ნახოს, ვინ დაგიწუნებს? მერე ლამაზი და... (პუბლიკისაკენ) ერთი შემოხედეთ და, წორეთ ინდოეთის ბებერი მაიმუნი გავს, ჰა (ბარბარეს) მაგ საქმეში სხვისთვინ კი არ გავერეოდი, მაგრამ მეტი ღონე არ არის, მეზობელი ხარ, შენი გულისთვინ უნდა ვჰქნა.

ბარბარე – მადლობელი ვარ. მეც შენთვის რამე ვიქ, ერთი ორმოცი თუმანი მოგართმევ.

მინასა – ერთი ხელი აიღე, მამა გიცხონდება! მე ეგ საქმე ვიქ, შენგნით ფულები ავიღო?!

ბარბარე – მაშ, კარგი, მე წავალ, კეკელუას საქმე მოვრჩები, თქვენც ეგ საქმე გააკეთეთ და შემატყობინეთ (თავს დაუკრავს და გავა მარჯვნივ)

მინასა – (მარტო პუბლიკას) თქვენ რას იტყვით? ეს კარგი საქმეა, ჰამ ჩემი ფულებმა გავასაღებ, ერთი ორმოცი თუმანიც აუსომ, ჯერ, ჰალა, წავიდე ერთი, ჩემი კუტრი კნიაზი ყაბული ვაქნევინო (გავა შუა კარიდგან).

გამოსვლა მესამე

კეკელა და მერე ილიკო

კეკელა – (შემოვა მარცხნივ კარებიდგან, დადგება წინ სცენაზედ და პუბლიკისაკენ ლაპარაკონს) ახლანდელი ახალგაზრდები სულ გულგრილები არიან, ქალებს კი ამტყუნებენ, ვაჟების სიყვარული არ იციოო, აბა, სიყვარული რომელია, გენაცვალეთ? სამი დღე თვალი ილიკოს გზის ცქერაზედ დამრჩა და ერთი ქუჩაში გამოვლილიც ვერ ვნახე. ჩვენს სიყვარულსა და პირობას ეს არ ეკადრებოდა. თუ ეწყინა რამე, აბა, რას ვაწყენდი, თქვენი ჭირიმეთ? ყოველთვის იმ ფიქრში ვარ, რაც იმას ესიამოვნებოდეს, ისე მოვიქცე და, თუ მწუნობს (სარკეში ჩაიხედავს და კავების და ტანისამოსის სწორებას დაიწყებს) აბა, რა მაქვს, ბატონებო, დასაწუნი? მაგრამ არა, სწორეთ გულგრილები არიან, არ იციან, თუ ახალგაზრდა ქალ-ყრმათ ერთათ შეთვისებას პირველად როგორი სიყვარული ჰშვენის. აი, ბატონებო, დღესაც მოვიცდი, ვნახოთ, მნახავს, თუ არა. (დაჯდება დივანზედ, ცოტას ხანს მიესვენება და მერე წამოდგება უეცრათ და იტყვის) უი... ფეხის ხმა ისმის, იქნება ილიკო იყოს, ერთი კარი გაუღო. (მივა, კარს გააღებს და ილიკო შემოდის, კეკელას გული გადმოუბრუნდება და დაიძახებს – უი... მივა და დივანზედ მიესვენება შემკრთალის სახით)

ილიკო – (შეშფოთებით) რათ შეგეშინდა, გეთაყვანე, არ იცოდი, რომ მე ვიქნებოდი?

კეკელა – (ცოტას ხანს უკან ნაზათ) აბა, რა ვიცოდი, გეთაყვანე, მეოთხე დღეა, თვალით ვეღარა გნახე. ასე მეგონა, თუ დამივიწყე. ახლა რომ უეცრათ დაგინახე, გული გადმამიბრუნდა.

ილიკო – (სიყვარულით) შენ როგორ დაგივიწყებ, კეკეჯან, მაგრამ რაღაც ჭორები შემომესმა, იმის გამო შეშფოთებული ვიყავ და ვეღარა გნახე.

კეკელა – შენ სხის ლაპარაკს ყურს რათ უგდებ? შენმა გაზდამ, მე თანახმა ვარ, თუ თქვენც გსურთ.

ილიკო – (ამოოხვრით) როგორ არა მსურს, მაგრამ ეჰ...

კეკელა – თუ გსურთ, წინააღმდეგი ვიღაა, რატო არ მოილაპარაკებთ ძალუაჩემთან?

ილიკო (გულსდაკლებით) ეჰ... რა მოვილაპარაკო? ის მდიდარია და (ხელს იდებს ეპოლეტზედ) მე ამის მეტი არა მაქვს რა.

კეკელა – მე კი თანახმა ვარ და არ ვიცი, ვის რა დავა აქვს. (სიყვარულით) ილიკოჯან, აბა, მაგას რას ანბობ, გეთაყვანე. შენ ასეთი მშვენება და ზდილობა გაქვს, რომ დაუფასებელი არის.

ილიკო – მართალს ამბობ, კეკეჯან, მაგრამ მე როგორ შევიტყვე, ძალუაშენს შენი გათხოვების საქმე კიდეც მოუწყვია, თქვენს მეზობელს მინასასთან ჰქონია ლაპარაკი.

კეკელა – (გაჯავრებით) რას მეუბნები? მერე ვის მაძლევს?

ილიკო – ერთი ნუხელი ჩინოვნიკია, თოროზოვი, იმას გაძლევს.

კეკელა – ეჰ, კარგი, შენს გაზდას, ყმაწვილო, კმარა ხუმრობა.

ილიკო – კეკეს მზემა, არ გეხუმრები.

კეკელა – (შეშფოთებით) მერე, მე არა მკითხავს?! ვინ ოხერია, ვიდაც თოროზოვი? შენმა გაზდამ, ძალუაჩემი კი არა, მამაჩემიც რომ ადგეს, მე შენის სიყვარულისგან ხელს ვერ ამაღებინებს. უსიკვდილოთ შენი სიყვარული სად მამშორდება! ვგონებ, რომ მოვჰკვდე და საფლავად მდებდენ, იქაც კი შენი სიყვარული თან ჩამყვეს.

ილიკო – შენმა გაზდამ, კეკეჯან, შენი სიყვარული მე უფრო ცეცხლს მიკიდებს, მაგრამ ეს ძალუაშენი რომ არ შვრება და ნუხელს ჩინოვნიკს გაძლევს? მე ხომ შენზედ ხელის ამღები არა ვარ, რაც უნდა დამემართოს, ხოლოდ ეს არის, რომ საშფოთრად გაგვიხდება საქმე მე და ძალუაშენსა. მაგრამ ჯანი გავარდეს, თუ გახდება, როგორც იყოს, უნდა მოვახერხო!

კეკელა – (სიყვარულით) ილიკოჯან, შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, მე ნუხელს ჩინოვნიკს ვერავინ მიმცემს, ოღონც კი შენ ჩემი სიყვარული მტკიცედ შეინახე და მე ვიცი, ჩვენს ქორწილს როგორც მოვახერხებ. მე არავისთან სახვეწარი არა მაქვს რა, რომ სხვის სამადლოთ გავთხოვდე, მე ჩემი სამყოფი დოვლათი მაქვს (მერე გაიხედავს მარჯვნივ ფანჯრიდან) უი, ძალუაჩემი მოდის, ერთათ არა გვნახოს.

ილიკო – მშვიდობით, კეკეჯან, (ხელზედ აკოცებს კეკეს და კეკელაც თავზედ და მერე ილიკო ეტყვის) მაშ, მე წავალ, კეკეჯან და, როგორც საქმემ გაიაროს, ხვალ მოვალ და შემატყობინე.

კეკელა – მოიცა, მე გაგაცილებ (გავლენ ორნივ ერთათ შუა კარიდგან)

გამოსვლა მეოთხე

ბარბარე – (შემოვა მარჯვნივ კარიდგან და პუბლიკისაკენ ლაპარაკობს) ნეტავი არ იქნება, მინას პეტრუზიჩი აასრულოს თავისი ნათქომი! ერთიც რო კნეინო გავხდე!.. (გაკვირვებით) უჰ... უჰ... უჰ, დიდი რამე არ ვიქნები! ქუჩაში რო დავივლი, იტყვიან კნეინ ბარბარე გალისე, რუსებიც რო მნახვენ, ვაში სიატელსტვოს დამიძახებენ. მაშინ მეც კნეინურათ დავიწყებ ლაპარაკსა. თუ სახლში მნახავები მამივლენ, დიდკაცურად ვეტყვი: მობძანდით, ბატონებო ნურას უკაცრავათ. უჰ... რა დიდი ვინმე ვიქნები! კნეინი გავხდები თუ არა, მაშინვე კიპაჟი ვიყიდი, ლაქიაც უკან დავიყენებ და ისე დავივლი, მაშ. ვა, კნეინი ვიქნები, შინ ხომ არ დავჯდები, ბალებში უნდა დავიარო. (მერე მიიხედამს შუა კარისკენ და იტყვის) რა ვქნა, მინას პეტრუზიჩი რათ დაიგვიანა?

გიორგა (შემოვა მარჯვნივ ჯკარიდგან და ბარბარეს ეტყვის) ქალბატონო, მინასი გიახლებათ და თან ვიღაც კნიაზი მოჰყავს.

ბარბარე – (ტუჩზედ ორს თითს დაიდებს) უი, ქა, უთუოთ ის იქნება! (სარკეში ჩაიხედავს) წავიდე, ერთი პატარა შუშტაკი გადვიკრა, ლამაზი გამოვჩნდე(ბიჭს ეტყვის) გიორგა, მე წავალ და შენ ისინი შემოიპატიჟე. უთხარ, ქალბატონი ეხლავ გიახლებათ-თქო. (გავა მარჯვნივ კარიდან)

გიორგა (გააღებს შუა კარსა და მოიწვევს მინასას და დავითს) მობრძანდით, ბატონებო, ქალბატონიც ეხლავ გიახლებათ (თითონ გავა მარჯვნივ).

გამსვლა მეხუთე

მინასა და დავითი

მინასა – (ეწევა თითქმის ძალით) ერთი მობძანდი, კნიაზო, მამა გიცხონდება. რა დროს ცერემონი არის, უცხოს სახლში ხომ არ მიმყავხარ!

დავით – მაშ, ვისია, რომ უცხოს სახლი არ არის? მე თულუხჩიანთ სახლში რა ხელი მაქვს!

მინასა – ერთიც, დალოცვილო, თუ საქმე არ იყოს, ხომ არ მოგიყვან! (მიიწვევს, დინაზედ დასვამს და თითონაც გვერდით მოუჯდება კრესლაზედ და ეტყვის) აბა, კნიაზო, მოვილაპარაკოთ რამე.

დავით – რა უნდა მოვილაპარაკოთ?

მინასა – რამე რაღა, ვა. აბა, ეს ზალა არ მოგწონს?

დავით – შენმა მზემ, ზალაც კარგია და ოთახებიცა.

მინასა – მებელი როგორიღაა?

დავით – არც მებელია ურიგო.

მინასა – ამ სახლის პატრონის შეძლებაც გაგიგონია?

დავით – გამიგონია, კარგი შეძლება აქვსთ.

მინასა – აბა, ეს სახლები თავის გამართულობთა, ერთი ოთხი ათასი თუმანი ფული, კარგი გაცემულობა, ერთი ათასი თუმანისაც ზინათი (გაუცინებს). უკაცრავათ კი ნუ ვქნები და ერთი შენისთანა ჯიბეგახვრეტილი კნიაზი რო ჩაიგდოს, როგორია?

დავით – (სიცილით) ნეტავი არ მიჰქარამდე, ბიჭო.

მინასა – ვა, გულში გიამა განა? (პუბლიკისაკენ თითით აჩვენებს) ჰაი, თუ შეშჭამს კნიაზი! (დავითს) კნიაზო, მოდი ესენი სუყველა შენ გაშოვნინებ მუქთათა.

დავით – (სიცილით) მერე როგორ მაშოვნინებ, ბიჭო?

მინასა – მოდი, ეს ქვრივი ბარბარე შეგრთამ, ჰამ კარგათ მოგივლის, ჰამ ბევრი ფულებმა გექნება.

დავით – ეჰ, კარგი, მინას პეტრუზიჩ, რა დროს ხუმრობაა. შინ მინდა წავიდე, არა მცალიან (ადგება წასასვლელად)

მინასა – ერთი დაბძანდი, კნიაზო, არ გეხუმრები, ჩემა მზემა, შეირთე, ურიგოს არა იქ, ჰა!

დავით – გიჟი ხარ, კაცო, რას ჩამაცივდი? მე ცოლს არ ვირთამ!

მინასა – გებნები, კნიაზო, ხეირი ნახამ, შეირთე-მეთქი და, ვა.

დავით – (ზეზე ადგება) ერთი თავი დამანებე, მამა გიცხონდა, ჩემი საქმე არ არის!

მინასა – (ადგება და პუბლიკისაკენ იტყვის) აი, ტუტუც ვრაცუა (ხელს მიიშვერს დავითზედ) რაც რუსეთში უნივერსიტეტებმა არის და, სულ რომ აქ მოზიდონ, კიდენ ამ

ძველი ქართველების თავში ჭკუა არ მოგროვდება (დავითს) ტო, ახარ, ამაზედ მეტი ხეირი რა გინდა? ერთი მინუტის საქმეა, ჯვარს დაიწერ და ამტელს ფულებს იშოვი.

დავით – არ მინდა, შვილო, ეგ ფულები, რას ჩამაცივდი?

მინასა – (პუბლიკისაკენ) ჰო, თუმანი რო ბისტათა აქვს გაცემული, იმიტომ არ უნდა (დავითს) არ მინდა, რომელია? ბას, ჩემი ექვსასი თუმანი საიდამ მომცემ?

დავით – პახოტში წავალ, შვილო, პენციას ვიშოვნი და იქიდან მოგცემ.

მინასა – (გაშტერებით) ვა, ერთიც ვნახოთ, ლეკმა შენი თავი დააგორა, მემრე ჩემი ფულებმა ვინა ვთხოო?

დავით (გაცინებით) მერე და მერე, შენც შენი ფულები ღმერთს შესწირე.

მინასა (გაოცნებით) ვა, შევწირო, რომელია, იმას ფულები რათ უნდა? ახარ, ექვსი ქალი მყავს, გათხოვება არ უნდათ! ერთი ხელი აიღე, მამაგიცხონდება, რა დროს პახოტია, ფეხები ადგილიდან ვეღარ დაგიძრამს. ის არა ჯობია, არც შენ მოკვდე და არც ჩემი ფულები დაიწოს. შეირთე რაღა, ვა, ფულებია და ფულები.

დავით (პუბლიკას) გიჟია ეს კაცი. ე... რას გადამეკიდა, თქვენი ჭირიმე (მინასას) არ მინდა, შვილო! ძალათ ცოლის შერთვა გაგიგონია?

მინასა – ტო, დამიჯერე, კნიაზო, შეირთე-მეთქი, ხეირი არის და. ვა, ჩემა მზემა და სხვაცა თხოულობდა, მაგრამ მეგობარი ბძანდები, მე შენთვის მემეტება.

დავით – არა, ძმაო, არ მინდა(ადგება და მიდის)

მინასა – ვა, შეირთე – მეთქი, ჰუჯათი ნუ გახდები, თორე, კნიაზის მზემა, არ გაგიშვებ, კარები დაგიკეტამ, ჰა. რო მიხვალ, სად მიხვალ, ემე, ჩემი აბეზპეჩენიე შენა ხარ.

დავით – (გაჯავრებით) რას მიჰქარავ! მამაჩემი ნუ წამიწყნდება, სულ კბილებს გადამტვრევ. დამიჭერ რა, შენი ტოლი ხომ არავინა გგონია?!

მინასა – (დოინჯებს შემოიყრის) ვა, როგორ დამამტვრევ? ფულებიც ჩემი გემართოს, კიდენაცა მცემ, ბას, ვექსილის უსტავი არ იცი შენა? მერე მე რაღა ნაკლები კაცი გგონივარ? მამაჩემი დეკანოზი იყო, აი. (ყელზედ ხელს დაიდებს) ვერა ხედამ, ნა შეი ზოლოტოი მედალი მაქვს От палку свободу, знаеш? (ტკბილათ ეტყვის) კნიაზო, ნუ

ჯავრობ, თუ ღმერთი გწამს, ახარ, დალოცვილო, ჩემი ფულებისას, აბა, რა პასუხი მაძლევ?

დავით – ხვალვე ვისესხებ, შვილო, და თავში გაწყვეტ შენს ფულებსა.

მინასა – ვა, ერთიც რა ტუტუცობაა, ვალი აიღო. ტო, შეირთე, ფულები არ არის? ეჰ... მე ბევრი ლაპარაკი არ ვიცი, წავალ, ბარბარე მოვიყვან. აბა, კარგათ იფიქრე. ხეირი იქ-მეთქი, კნიაზის მზემა (გავა შუა კარიდან და კარს მოჰკეტს)

დავით (უკან მისდევს) კაცო, არ შევირთამ-მეთქი, არ გესმის? აქ მოდი! (მივა, კარებს მიაწვება და მერე პუბლიკისაკენ მობრუნდება). ეს რა მიუქარამს, თქვენი ჭირიმე, მართლა არ დაუკეტია კარები! ეს გაგიგონიათ მოვალისგან, რომ ძალით ცოლი შემრთოს?! დასწყევლოს ჩემმა წმიდა გიორგიმა, ვის გადავეკიდე, თქვენი ჭირიმე(დაჯდება დივანზედ, დაფიქრდება ცოტას ხანს, მერე ადგება და პუბლიკისაკენ იტყვის) ღვთის წინა შენ, ერთათ კი კარგათ მირჩევს, მაგრამ როგორ შავირთო, დაბალი კაცის ნაცოლარია! ეჰ, ჯანი გავარდეს, თუ არის: ქორწინებით ხო ჩემს ხარისხს არ დაამდაბლებს. შევირთამ, არა უშავს რა, დოვლათი დიდი აქვს. იმისის ფულებით პრიკაზიდან ყმა და მამულს გამოვიხსნი და მერე რაღა მიჭირს, კარგათ ვიცხოვრებ(მიიხედავს შუა კარისაკენ) რა ვქნა, ეს მინასა სად ჯანაბას დაიკარგა? (გასძახებს) მინას, აქ შემოდი, ვიფიქრე.

გამოსვლა მეექვსე

იგივე და მინასა

მინასა – (შემოვა შუა კარიდან სიცილით)კნიაზ დავითს გაუმარჯოს! რა ქენი, იფიქრე? კნიაზო, ჩემა მზემა, ხეირი იქ, შეირთე.

დავით – შე ოჯახქორო, რას გადამეკიდე, აი, დაგწყევლა ღმერთმა! საიდან იფიქრე, ვაჟო, ეს სომხები კუდიანები არა ხართ!

მინასა –ვა, მაშ ჩემი თავი ცარიელი გეგონა? კნიაზის მზემა, სამსეა, ჰა, (პუბლიკას) ამის თავი ხომ არ არის, ცარიელი იყოს (დავითს) არა, კნიაზო და, ჩემა მზემა, ხეირია, ვა, მდიდარია.

დავით – მდიდარი კია, ვიცი, მაგრამ თითონაც ვარგა?

მინასა – ვა, მე ესტი სირუნე და, ერთი რო შეხედო, მაშინვე თვალები დაგვარდება, ჰა.

დავით – (პუბლიკას) ამ სომხებთან ქართულად ლაპარაკი სულ ხალაა არის. (მინასას) სწორეთ მითხარ, ბებერი ხომ არ არის?

მინასა – ერთი, რას ბძანებ, კნიაზო (აზვიადებს) ერთი ჯეელი, ერთი ლამაზი, წორეთ იქნება ოცდათორმეტი წლისა, თორმეტი თვისა, ოცდაცამეტი დღისა და ხუთი საათისა, ჰა.

დავით – (სიცილით) შე ოჯახქორო, საათი რაღაა?

მინასა – ვა, მე წორეთ მოგახსენებ, შენთან ტყუვილი ხო ვერა ვოქომ, დღეს ვიანგარიშე წელიწადი, ჰა.

დავით – კარგი. მაშ, მე ბაღჩაში გავალ, შენ ბარბარე შემოიყვანე და მე იქიდან დავათვალიერებ. მერე მე დამიძახე, შემოვალ და დავინიშნები, მაგრამ ამ პირობითა, რომ ყველა ქონება ეხლავ უნდა მამცეს.

მინასა – მაშ, ვა, შენც ეხლავ მოგცემს, მაგრამ მეც კი ჩემი ფულები უნდა მამცე.

დავით – ბატონი ბძანდები.

მინასა – თავის სარგებელიცა, აი.

დავით – ჯანი წაგივიდეს, მოგცემ, შვილო, შენს ფულებს ეშმაკიც ვერ შეშჭამს. (გავა შუა კარიდგან)

მინასა – (მივა და მარჯვნივ კარიდან გასძახებს) ტო, გიორგა!

გიორგა (შემოვა და ეტყვის) აღა, რას მიბძანებ?

მინასა – წადი, შენი ქალბატონი უთხარი, საქმე მიქნია, უთხარი, კარგათ მოირთე, უთხარი, კნიაზი ბებრობა არ შეგატყოს, უთხარი, ბევრი ფერი, უმარილი წაისვი, უთხარი, აქ შემოდი, უთხარი, კნიაზიც ბაღჩაშია, უთხარი, მერე იმანაც აქ მოვიტან, უთხარი.

გიორგა – ბატონი ბძანდები, ეხლავ მოვახსენებ (გავა მარჯვნივ კარიდგან)

მინასა – (მარტო პუბლიკისკენ სიცილით)თქვენმა მზემა და, წორეთ სამოცდაშვიდმეტი წლისაა, ჰა. მახლას, სიბებერით პური ვეღარ ღეჭამს, რაღა. ვა, პირში ერთი კბილი აღარა აქვს, როგორც გინდა, თქვით.

გამოსვლა მეშვიდე

იგივე და ბარბარე

ბარბარე – (შემოვა მარჯვნივ კარიდან, მინასას თავს დაუკრავს და ეტყვის) მინასჯან, გარჯისთვის მადლობელი ვარ, ბარემ ამ საქმეს ბოლოც მოუღე.

მინასა – (პუბლიკას) ვა, მადლობა რას მიქვიან, ორმოცი თუმანი დაავიწყდა?(ბარბარეს) რაც მე შენი გულისთვის საქმე მიქნია და, ის ჩემი სულისა იყოს, ჰა, მაგრამ ყველა კი ეხლავ უნდა ჩააბარო კნიაზსა, პირობა ისე მიმიცია, იმათი ხო გისდის, ბარბარე, თავადი ვურთიე.

ბარბარე – (მძიმეთ) აი, დუხ აპრის, რო გიდიმ, ეხლავ მივცემ, როგორც იმან ნებამს.

მინასა – (შუა კარს გააღებს და გასძახებს) კნიაზ დავით, მობძანდი, შენი კნეინა აქ გახლავს.

გამოსვლა მერვე

იგინივე და დავით

(დავით შემოვა შუა კარიდან, მინასა წინ სცენაზედ მიიყვანს ბარბარესთან და თითონ შუაზედ ეფარება, რომ ბარბარე არ დაინახოს, მერე ბარბარე და დავით თავს წინ წაიღებენ, ერთმანეთს შეხედავენ და პუბლიკისაკენ იტყვიან ორნივ) უჰ... რა ბებერია! (სიბერით ორნიც სწუნობენ ერთმანეთს)

დავით – (მინასას) მინას პეტრუზიჩ, ძალიან ბებერსა ჰგავს.

მინასა – (ჩუმათ) დალოცვილო. ჯერ ჰალა ღამეა, ეგრე გეჩვენება.

ბარბარე (მინასას ყურში) მინასჯან, კნიაზი ძალიან ბებერსა ჰგავს

მინასა (ჩუმათ) ერთიც, მამცხონებელო, შენ უფრო ბებერი არა ხარ, პირში ერთი კბილი აღარა გაქვს!

დავით (მინასას) მინას, მაშ დილაზედ დავათვალიერებ, ეხლა კარგათ ვერ ვარჩევ.

მინასა – ერთი, სად მიხვალ, დალოცვილო, ამაღამ კარგი საათია, ბარემ მორჩი რაღა!

ბარბარე (ჩუმათ წასძახებს) არ გაუშვა, გეთაყვანე, ეგება კნეინი გავხდე.

მინასა (დავითს) ერთი შემოხედე, კნიაზო და, წორეთ კეკლუცია, ჰა. (ბარბარეს ჩუმათ) შენ თავი იქით მიიღე, სახე არ დაანახო. (თითონ შუაზედ ეფარება. მერე დავითს) ღმერთმა ყოველი ჩემი მოკეთე მისცეს ამისთანა ცოლმა ძალიან კარგია და, კნიაზო.

დავით – რატომ აქეთ არ იყურება, სახე დაუნახო.

მინასა – ახარ, კნიაზო, მორჩხვია. ჯერ ერთი დაქორწილდი და მერე ამტელი უცქირე, სანამ მოგწყინდეს (ბარბარეს) ბარბარე, წადი, დროშკები გაისტუმრე, კარწინ დგანან.

ბარბარე – (მივა, ფულის ყუთს გააღებს, ფულებს ჩხრიალს დააწყებინებს, მერე ისევ დაჰკეტს და გავა შუა კარიდან)

მინასა (დავითს) ხედამ, კნიაზო, რამტენი ფულები აქვს, და!

დავით (იწევს კარებისაკენ) არა, შვილო, მილიონიც რო ჰქონდეს, მე მაგას არ შევირთამ, ძალიან ბებერი ყოფილა, პირში ერთი კბილი აღარ ეტყობა.

მინასა – ვა, ცხენი ხომ არ არის, კბილი გაუშინჯო, ბებერი უფრო კარგათ არ მოგივლის! (სიცილით) არც შენა ბძანდები ყმაწვილი.

დავით – არა, შვილო, არ მინდა! ხელს არ აიღებ? გინდა ჭირი ამკიდო? (იწევს წასასვლელად)

მინასა (ეხვეწება) კნიაჯან, ჩემი გულისთვინ შეირთე, ჩემი ცოლ-შვილი ნუ დაღუპამ, ექვსი ქალის პატრონი ვარ, თუ ღმერთი გწამს, შეირთე, ერთიც, ეგები ჩემი ფულები გავასაღო.

დავით (ხელს ჰკრამს მინასას და გაჯავრებით) დაიკარგე იქით, ვიღაც ოხერი ხარ, არ შევირთამ-მეთქი, არ გესმის?

მინასა – ბას, არ შეირთამ აბა, ვნახოთ, თუ არ შეირთამ, მაშ, ჩემი ფულები საიდან უნდა ავიღო? ხვალვე კორმავოი წარვადგენ და ციხეში ჩაგსომს. (გაბრუნდება უკან და ხელებით რაღაცას ლაპარაკობს გაჯავრებით)

დავით (ცოტას ხანს დაფიქრდება, მერე წინ მივა სცენაზედ და პუბლიკისაკენ ამბობს) მართლა, ამ კვდარძაღლმა მოხუცებული კაცი რო შემარცხვინოს და დამაჭერინოს, მერე რაღა უყო?! ეჰ, ჯანი წაუვიდეს, თუ ბებერია, ფული ბევრი აქვს, შევირთამ, რიგზედ მაინც მამივლის, ჰამ კარგათ ვიცხოვრებ, შეძლების პატრონი ვიქნები(მინასას) მინას პეტრუზიჩ, დაუძახე, რეკომენდაცია გვიყავი.

მინასა (სიხარულით მივა და ეტყვის) რო გებნები, კნიაზო, ხეირი არის-მეთქი(პუბლიკას) ძლივს არ მოუგროვე თავში ჭკუა. (მივა მარჯვნივ, კარს გააღებს და გასძახებს) ბარბარე!

ბარბარე – (იქიდან ხმას გამოსძახებს)ჰამე?

მინასა – (ეტყვის) აქ მოდი (კარებში რო შემოვა, მოჰკიდებს ხელსა, შემოიყვანს, დავითს ჩააბარებს და ეტყვის)აჰა, კნიაზო, ჩამიბარებია ლამაზი, შვენიერი, მდიდარი, თაიგული, ღმერთმა შვიდობაში მოგახმაროს.

დავით – (ხელზედ აკოცებს ბარბარეს და ეტყვის) კეთილი იყოს ჩვენი დანიშვნა.

ბარბარე – მადლობელი გახლავართ თქვენი დიდობისა.

მინასა – (ბარბარეს) ბარბარე შნორაურილი (ყურში წასძახებს), ამა, ქარსუნ თუმან ჩი მორანას ჰა.

ბარბარე – შნორაკალიმ, მინასჯამ (ჩუმად ყურში) ჩი მორანამ.

მინასა – (დავითს) მოგვილოცამს, კნიაზო, (ჩუმათ ყურში) მაგრამ (ექვსს თითს აუშვერს და ექვსას თუმანს მოაგონებს) ჩვენ რომ ვიცით, ის არ დაგავიწყდეს.

დავით – გმადლობ, ჩემო მინას. (ჩუმათ ყურში) მახსომს, არ დავივიწყებ.

მინასა – (დავითს და ბარბარეს) ბას, ზითვის პირობის წერილი დავწერამ, რაღა.

დავით და ბარბარე (ერთათ ეტყვიან) ძალიან კარგი იქნება.

მინასა – (დაჯდება სტოლთან, აიღებს კალამსა და სწერს პირობის წერილსა. მინამ ეს დასწერს, მინამდისინ დავით და ბარბარე ერთმანეთთან ლაპარაკობენ დაბლა. მერე მინასა ადგება და ეტყვის) აბა, გამიგონეთ, წაგიკითხოთ (ისინი ყურს დაუგდებენ და ეს უკითხამს) ჩყ... (1800..) ამთენი წელსა აპრილის... ამდენი დღესა, ეს პირობის წერილი გაძლევ მე ბარბარე თულუხჩიაანთი, შენ, დავით კნიაზი, იმიტომა რომა, რაც საწყალი ცხონებული ჩემი ქმარი ჩემთვინ გაუშო, სულ შენ, დავით კნიაზს, მოგართვი, ემე, თუ ვექსილებმა, თუ ფულებმა, თუ ზინაათმა. ერთყალმათ რაც ცხონებულის დავთარში წერია, სუყველა და სახლის კუპჩიაცა. (ეტყვის ორივეს) კარგია?

დავით და ბარბარე – (ორივე ერთათ ეტყვიან) ძალიან კარგია.

მინასა – (ბარბარეს) მოდი, ხელი მოაწერე და ყველა ჩააბარე.

ბარბარე – (მივა, ხელს მოაწერს და მერე დავითს წტყვის) მობძანდი, კნიაზო, ჩაგაბარო (მიიყვანს დავითს, გაუღებს სკივრსა და უჩვენებს) აი, კნიაზო, ეს ფულები, ეს ვექსილები, ეს ზინათი და ესეც სახლის კუპჩია, ღმერთმა შვიდობაში მოგახმაროს (დაჰკეტავს სკივრსა და გასაღებს დავითს მისცემს) აი, ეს გასაღებიც მიირთვი, ამ წერილსაც დავამტკიცებინებ და მინას პეტრუზიჩის ხელიდ მოგართმევ.

მინასა – (დავითს) ააშენოს. ვა, რაღა იცქირები, არ გეყოფა? ერთი სანთელი მოინთე, კიდენ დარჩა რამე?

დავით – (სიცილით) ვინ რას ამბობს, მადლობელი ვარ. (ბარბარეს) მაშ, მე წავალ, მოვემზადები, თქვენც მოემზადეთ და ჯვარი დავიწეროთ, მაგრამ უნდა კი ვიწვიოთ ვინმე, ბევრის მოყვრების პატრონი ვარ.

ბარბარე – თქვენი ნებაა, ვისიც თავი გინდა, ყველა მოიტანე (ერთმანეთს თავს დაუკრავენ და გავლენ, დავით შუა კარით და ბარბარე მარჯვნივ კარით. დარჩება მარტო მინასა)

მინასა (პუბლიკას) ეზ ნიშნობა კი მოვახერხე, მაგრამ ჯერ, ჰალა, ჩემი ფულებმა ისევ ჯუქამშია. წავიდე ერთი, ქორწილისთვინ რამე ვაქნევინო, რო დროზედ მოვრჩე. მაგრამ ბებერი პატარძალი რო თამაშაში კაბაზე ფეხი დაიდგას და წაიქცეს, მე დავი არ მექნება, ჰა. მერე თუ ტავიც გაიტეხა? (გავა შუა კარიდან და ფარდა დაეშვება)

მოქმედება მეორე

გამოსვლა პირველი

კეკელა, მერე ილიკო და მინასა

(ფარდა აიხდება, კეკელა არის მისვენებული დივანზედა ნაღვლიანის სახით, მერე, ცოტას ხანს უკან, ამოიოხრებს და გულდამწვარი ამბობს პუბლიკისაკენ) თქვენი ჭირიმეთ, ძალუასაგან ეს ვის დამართებია, რაც მე მამდის?! თითონ კნეინა ხდება, ჩემი დოვლათი სულ იმას მიაქვს და მე ძალას მატანს, ერთი ვიღაც ოხერი ნუხელი ჩინოვნიკია, ის შეირთეო, ილიკოს მაკარგვინებს (გამწარებით) თავს მოვიკლავ და ილიკოს კი არ დავჰკარგავ. მარტო იმასთან ერთი ლაპარაკი მთელს ნუხათა ღირს. (შემკრთალი) რა ვჰქნა, გენაცვალეთ, ამას რას მიშვრება (დაიძახებს) იჰ... გული მიწუხდება, ილიკოჯან, ნეტავი მალე მაინც მოხვიდოდე, რომ მიშველო (მიესვენება დივანზედ და გული მიზდის. ამ დროს ილიკო შემოვა უქცრად შუა კარიდან,

შეშფოთებული მივარდება კეკელას და ეტყვის) კეკეჯან, ეგ რა ამბავია შენს თავსა? შენი ჭირიმე, გული მოიბრუნე, გეთაყვანე! აი, მე ვარ, კეკეჯან, შენი ილიკო, შენთან ვარ, გეთაყვანე, ნუ გეშინიან!

კეკელა – (ცოტათი თავს წამოიღებს და ეტყვის) ვიჰ... ილიკოჯან, შენა ხარ? (ისევ გული მისდის და დივანზედ მიესვენება)

ილიკო – კეკეჯან, შენი ჭირიმე, ნუ მამკლავ, მე ვარ, შენი ილიკო. გამოერკვი, გეთაყვანე, ნუ გეშინიან, ღმერთი მოწყალეა, შენს თავს ვერავინ წამართმევს.

კეკელა - (ნაზათ თავს წამოიღებს და ამოოხვრით ეტყვის) რადგანსც შენა გნახე, ახლა თუნდა მოვჰკვდე, არ მენაღვლება. (ამ დროს მინასა შემოიპარება შუა კარიდან და ყურს უგდებს)

ილიკო – (გაჯავრებით) როგორ თუ მოჰკვდე! მამაჩემი ნუ წამიწყდება (ხანჯალზედ ხელს დაიდებს), ამ ხანჯლით სულ დავჟლეტამ შენს წინააღმდეგებსა. ვაი შენ, ჩემო თაო, თავი ცოცხალი რაღათ მინდა, რომ საყვარელი დამიჩაგროს ვინმემ. ეე... ჰუ... მგონია, იარაღის ხმარებაში პაპაჩემს, გორჯასპს, მამსგავსებდენ. ღმერთს გეფიცები, აქაურობას სულ მტვერს ავადენ.

მინასა – (ცოტა წინ წამოსდგება და ილიკოს ეტყვის) ოჰ, კნიაზო, მერე თუ მშრალი მიწაც არის, რა კორიანტელი ავარდება.

ილიკო – (უეცრად ხანჯალს ამოიღებს და შეუტევს მინასასა) აი, შე სომეხო, ეს სულ სენი საქმეა. ეხლავ თავს გაგადებინებ.

მინასა – (დაიღრიალებს) ჰაااა... კნიაზო, მამა გიცხონდება, ნუ მამკლამ, როგორც შენ გინდა, ისე ვიქ.

კეკელა - (მივარდება, კლავს დაუჭერს და ეტყვის) ილიკოჯან, გეთაყვანე, მაგისთანა საქმეს თავი დაანებე, ხათაბალაში არაფერში გაება და იმითი უფრო არ მომკლა, ისევ სხვანაირაღ ვეცადნეთ.

ილიკო – როგორ, თავი დავანებო? (ხელს მიიშვერს მინასაზედ) ეგ ჩემი ხელისაგან მოსაკლავია.

მინასა – კეკელ, კეკელ, ქუ მატაღ, ერთი ხანჯალი ჩაადებინე, არ მამკლას.

ილიკო – (სიცილით) მაგ სულთამხუთავს დაგიფრთხობ მე შენა!

მინასა – ერთი კარგი, მამა გიცხონდება, კნიაზო, რა ხუმრობაა, ერთიც რომ კისერში მოგერტყა და, ზედ მუწუკი მქონდა, მაშინვე კი გასკდებოდა, ჰა.

კეკელა - კარგი, გეთაყვანე, ილიკო, გული დაიმშვიდე. აი, მინას მეტრუზიჩსა ვკითხოთ, ყველას გვეტყვის, როგორც საქმეს გაუვლია (მინასას) მინას პეტრუზიჩ, დაბძანდი, გვიანბე.

მინასა – ვა, რა დავბძანდე, ხანჯალი ღია აქვს.

კეკელა - ნუ გეშინიან, არას გერჩის.

მინასა – ვა, გიჟი ქართველია. ერთიც იალბუზის ჭკუამ მოურბინა, მამკლა, მერე სად უჩივლო? ჯერ ხანჯალი ჩაადებინე და მერე დავჯდები.

კეკელა - (სიცილით) ილიკოჯან, ხანჯალი ჩააგე, გეთაყვანე. (ილიკო ხანჯალს ჩააგებს და კეკელა მინასას ეტყვის) აი, ახლა დაბძანდი გვიანბე(დასხდებიან ყველანი)

მინასა – მამაჩემი მიცხონდება, მე წორეთ გითხრამთ დავიდარაბის თავი არა მაქვს(კეკელას) შენი ძალუა დავით კნიაზი ირთამს, რაც იმენიე აქვს, სულ იმან აძლევს, ფულებიცა, აი, მე და ჩემა ღმერთმა, წერილიც დაუმტკიცებია.

კეკელა - მაშ, მე იმის ანგარიშში წილი არაფერში მაქვს, რაღა?

მინასა – შენთვისაც დასდო.

კეკელა - (სიცილით) მერე რა დასდო?

მინასა – სამასი თუმანი.

კეკელა - სამასი თუმანი რას მიქვიან? ზედ შუაზედ გაუყოფ ქონებას (პუბლიკას) თქვენი ჭირიმეთ, მამიჩემის ნაამაგევს რას მემართლებიან?! (მინასას) ვითომ შენა ხარ მოსამართლე, არ მერგება?

მინასა – ერთიც დავიდატაბაში ჩამაგდე. завтры, после завтры გინდა მასწავლო? მამიშენისა შენ როგორ არ გერგება, მაგრამ, ახარ, მე რა ვქნა, მე ხომ მოსამართლე არა ვარ.

ილიკო – სამართალს მივსცემ მე იმასა, აბა, და ვინც კაცია, აქედან ფულებს წაიღებს.

მინასა – (ადგება და პუბლიკას) მე რო ვხედამ და, ჩემი ფულებმა კიდენ კონკურსში ვარდება, ჰა ერთი მოვახერხო რამე (ილიკოს)კნიაზო, ახარ, ჩხუბი რა კარგია! დავითთან ილაპარაკე, იქნება, ემე, შუაზედ გაგიყოს ქონება.

კეკელა - შენმა გაზდამ, ილიკო, სწორეთ ისე სჯობია, დავითთან მოვილაპარაკოთ, თავადის შვილია, არ შეიძლება იმაში კეთილშობილება არ იპოებოდეს, უეჭველად უშფოთრად გაგვიყოფს ქონებას.

ილიკო – ძალიან კარგია, მაგრამ, აბა, ვინ დაუძახებს დავითსა?

მინასა – მე ეხლავე გამოვგზავნი, მაგრამ გიჟურათ კი ნურაფერი ელაპარაკები, ჰა, თორემ ისიც ერთი გიჟი ვინმეა, ჰა.(გადი მინასა და, კარებთან რომ მივა, მოუბრუნდება ილიკოს და ეტყვის) ბარბარე არაფერი გააგებინო, ჰა.

ილიკო – შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, არავინ გააგებინებს (მინასა გავა)

კეკელა - (ილიკოს) ილიკოჯან, ვთქვათ, თანახმა არ გაგვიხდა, შენი ჰაზრი რა არის?

ილიკო – ჩემი ჰაზრი ეს არის: დოვლათს ჩემის ძალით გავჰყოფ და მერე ჯვარი დავიწეროთ. წავიდნენ და მერე, საცა უნდათ, იქ მიჩივლონ.

კეკელა - მეც მაგაზედ თანახმა ვარ, სწორეთ ეგრე უნდა ავასრულოთ. (მიიხედავს შუა კარისკენ) აი, ილიკო, ფეხის ხმა ისმის, იქნება, დავითი იყოს. აბა, მიდი, კარი გაუღე. (ილიკო მიდის, კარს გააღებს და შემოდის დავითი).

გამოსვლა მეორე

იგივენი და დავითი

დავითი – (დაუხვდება დავითს კარებში და შემოიწვევს) აა... კნიაზს ვახლავარ! მობრძანდით კნიაზო. მშვიდობით ბძანდება თქვენი ბრწყინვალება? (კრესლაზედ მიიწვევს) დაბძანდით, თქვენი ჭირიმე. (დავითი რომ კრესლაზედ მივა დასაჯდომათ, კეკელაც ფეხზედ აუდგება და თავს დაუკრავს, მერე ყველანი დასხდებიან.

დავითი – (ორივეს თავს დაუკრავს და მოიკითხავს) როგორ მშვიდობით ბძანდებით. თქვენი მშვიდობიანობა მიამება, მამაჩემი ნუ წამიწყდება.

ილიკო და კეკელა - (თავს დაუკვრენ) გმადლობთ კნიაზო.

ილიკო (დავითს) – კნიაზო, თქვენთან ერთი სათხოვარი გვაქვს, უნდა აგვისრულო.

დავითი – მიბძანეთ, თქვენი ჭირიმე, რა გახლავთ?

ილიკო – აი, რა გახლავთ, თქვენი ჭირიმე: ახალგაზრდა ქალ-ყრმათ სიყვარული, მოგეხსენებათ, თუ რა სასიამოვნო არის. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, გვინდოდა ჯვარი დაგვეწერა, მაგრამ, ბატონო, ამისმა ძალუამ (კეკელაზედ ხელს მიიშვერს) საშფოთრად გაგვიხადა საქმე. ვითომც თავის ჭკუაში დოვლათს ხომ ართმევს ამასა (კეკელაზედ უჩვენებს), ბატონო, თითონ ამასაც მართმევს და ერთს ვიღასაც ნუხელს ჩინოვნიკს აძლევს. აბა, იმისგან როგორ წავირთვა, თქვენი ჭირიმე, ან რა სამართალია? მე ვგონებ, ცოლქრმობა ერთმანეთის სურვილით და თანხმობით იყოს. ქალს აღარ აცდის, ან დოვლათს რას ემართლება? (კეკელაზედ ხელს მიიშვერს) ამისი მამა და იმისი ქმარი ძმები იყვნენ, ერთათა აქვსთ დოვლათი მონაღვაწები. თავათ სულ ამას ეკუთვნის. ამის მეტი მემკვიდრე არავინ არის, თუ არა და ნახევარს რას ემართლება? არა, რიგი არ არის, მამათქვენი ნუ წაგიწყდებათ

დავით – თქვენმა მზემ, რიგიც არის და სწორეთაც ეკუთვნის.

ილიკო – მაშ, სათხოვარი აგვისრულე, მამათქვენი ნუ წაგიწყდებათ. შევიტყე, რომ ბარბარეს თქვენ ირთავთ და ჩვენი მშვიდობით მორჩენა თქვენი საქმე არის. ნუ ინებებთ, რომ ჩვენში სისხლის ღვრა მოხდეს.

დავით - (ამოოხვრით) ეჰ, რა ვქნა, ძმაო, სიდარიბე ძნელია, ვალები დამატყდა, თორემ რაღა დროს ჩემი ცოლია, მერე ამისთანა ბებერი.

ილიკო – შეირთეთ, რა მენაღვლება, მაგრამ იცოდეთ, კნიაზო, ქონება კი უნდა შუაზედ გავიყოთ, თორემ შფოთი მოგვიხდება.

დავით - რა გაქვს საშფოთარი? (კეკელაზედ ხელს მიიშვერს) მაგის მამის ქონებას რას ვემართლები, ხვალვე გაგიყოფთ შუაზედ, მამაჩემი ნუ წამიწყდება. რას ბძანებთ, გულს როგორ დაგწვავთ, განა მე არ ვყოფილვარ ყმაწვილი კაცი! თუ გნებავთ, მე თითონ მამათ გაგიხდებით და ერთათ ვიცხოვროთ. თუმცა ბარბარემ ყოველი ქონება ჩემს სახელზედ დაამტკიცებინა, მაგრამ, რადგანაც სინიდისი მაწევს, რომ ნახევარი იმ ქონებისა თქვენ გეკუთვნით, თქვენთვის მიმირთმევია.

ილიკო და კეკელა (თავს დაუკრვენ) - მადლობელი გახლავართ კეთილის მყოფელობისათვის.

დავით - ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ერთმანეთს შეგაბეროთ. (მერე მიიხედავს შუა კარისკენ და იტყვის) რა ვჰქნა, ამ მინასამ რათ დაიგვიანა? მითხრა, ეხლავ მოვალო.

ილიკო – აი, ფეხის ხმა ისმის, იქნება ის იყოს.

გამოსვლა მესამე

იგინივე და მინასა

მინასა – (შემოვა შუა კარიდან გაშტერებით უცქერის იმათა. მერე პუბლიკას ეტყვის) ვა, ესენი ძალიან ჩუმათ არიან. მეგონა, ხლმის ტრიალი ექნებათ, ახლო ვერ მივეკარები-მეთქი (იმათ) მიკვირს, ხლმებს არ ატრიალებთ და არ ჩხუბობთ!

დავით - განათლებულს ხალხში ხლმის ტრიალი მოდა აღარ არის.

მინასა – მერე ვინ არის განათლებული?

დავით - ჩვენა.

მინასა – (პუბლიკას) ესტი მტიკ არექ (დავითს) მაგან არ იყო, (ილიკოზედ ხელს მიიშვერს) წეღან ხანჯლით ჩემი თავი კინაღამ ჭერში მიარტყა.

ილიკო – გეხუმრებოდი.

მინასა – ვა, ის ხუმრობა იყო? (დავითს) ჩემმს მზემა და, თუ კეკელუას არ ჩაედებინა ხანჯალი, მამკლამდა. ჰა.

დავით - (სიცილით) კარგი, რაც მოხდა, მოხდა. ამ ჩვენს საქმეს ბოლო მოუღოთ.

მინასა – აი, ვა, როგორც თქვენ გინდათ, ისე ვიქ.

დავით - აი, მე ესე მინდა: ჩემი ქორწილი მერე იყოს (ხელს მიიშვერს ილიკოსა და კეკელაზედ) ჯერ მინდა ამათ დავწერო ჯვარი და ქონებაც შუაზედ გაუყო. დაეხსენ ამათ, გაიხარონ, ახალგაზრდები არიან.

მინასა – მერე ბარბარეც ყაბულობს?

დავით - შენ რა გენაღვლება, წერილი ჩემთან რ გამოგატანა? მოიტა, მამეცი, მე ვიცი და იმანა.

მინასა – (გაშმაგებით) ვა, წერილი რო მოგცე, ჩემი ფულებმა ვის ვთხოვო?

დავით - მე მოგართმევ.

მინასა – მაიტა, მამეცი, რაღა, დენგი ნა სტულ!

დავით – არ მენდობი? პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ მე მოგართვა, მინასბეგ.

მინასა – (პუბლიკას) პლუტ ვრაცუა, ჰა, სახელი მიპტყელებს, რა არის, წერილი დამტყუოს. რა კაცია? ჯერ ჰალა ამისი ვექსილებმა ხო დიდი ხოდი აქს და, სიტყვაა, მითამ ბანკის ბილეთია, რაღა! (დავითს) მაიტა, მაძლევ, ხელდახელ მამეცი, მე დავიდარაბის თავი არა მაქვს, თუ არა, ეს წერილი ისევ ბარბარეს წაუღებ ეხლავ, იმან მამცეს ფულები (მიდის)

დავით - დაიცა ერთი, კაცო, სად გარბი, ეხლავ მოგცემთ.

მინასა – მაიტა, მამეცით, მე წავალ, თქვენ იცით და ბარბარე, მე დავიდარაბის თავი არა მაქვს.

დავით – წერილ ხო შენა გაქვს, ძმაო, ეს სკივრის გასაღებიც შენა გქონდეს, სანამ შენი ფული არ მოგცეთ, ნუ დაგვანებებ (გაჯავრებით) შენგან ხომ დაცდა არ იქნება, შვილო, ფულები მამაშენს, პეტრუზას გირჩევნიან.

მინასა – ახარ, რატომ არ მირჩევნიან: იმან კვდარია და ფულებმა ცოცხალია. ერთიც, დალოცვილო, რო წყინულობ, ვალი არ მისცემ?

ილიკო – კარგი ერთი, ურიასავით ნუ ღიჯინებ სულ რა ერთი უნდა მოგცეთ?

მინასა – ვა,ახარ, რას ჯავრობ? ჩემი გთხოვთ, თქვენი ხომ არა. ერთიც, მგონია, ზურგი გტკენიათ მაგ ფულების მოგროვებითა, ჰა, რა გრჩებათ, არ გეყოფათ! თათარისა არ იყოს მუქთა დეგმას? (დაბლა) აი, კნიაზო, ექვსასი თუმანი ჩემი კაპიტალია, ორასი თუმანიც იმისი პრუცენტი. ეს რვაასი თუმან, ორმოცი თუმანიც ბარბარე სამაჭანკლოს დამპირებია. სულ გახდება რვაას ორმოცი თუმანი.

დავით - ეჰ, კარგი ერთი, მამა გიცხონდება, სამაჭანკლოს თავი დაანებე, რვაასი თუმანიც გეყოფა.

მინასა – (პუბლიკას–) ვა, გიჟე? (დავითს) მეყოფა რომელია, მე და ჩემმა ღმერთმა, წორეთ დამპირებია, თუნდა ბარბარეს ვკითხოთ (მივა მარჯვნივ კარებთან და გასძახებს) ბარბარე, აქ...

ილიკო – (მივარდება და პირზედ ხელს დააფარებს) სუ, შე კვდარძაღლო, მოგცემთ, მოგცემთ.

მინასა – ვა, ახარ, რა ვქნა, რომ არ მიჯერებთ, არა ვკითხო?

დავით - კარგი, კარგი, დაგიჯერებთ. წადი, ვექსილი მოიტანე, ფულები მოგცეთ და ქორწილშიაც გვეწვიე. სხვა რაღა გინდა შვილო?

მინასა – ვა, ვინ რამე ამბობს? (პუბლიკას) კნიაზები ოხერი ფული ჩაიგდეს, მგონია და, ერთ თვეზედ ერთი უშველებელი აქლემი გააკეთონ, ჰა. მაგრამ მე ჩემი ფულები გავასაღო, დარდი მაქვს? (კნიაზებს) კნიაზებო, თუ საყიდელი გინდოდეთ რამე, მე იაფათ გიყიდით, სხვები მოგატყუებენ (თავს დაუკრამს და გავა შუა კარიდან).

დავით – (ილიკოს და კეკელას) თქვენ წაბძანდით, ქორწილის მზადებაში შედით, მეც ბარბარესთან მოვილაპარაკებ და მერე მეც მოვემზადები საქორწილოთ, გამოგივლით თქვენა, წავიდეთ და, ბარემ ხარჯი იქნება, ორივემ ერთათ დავიწეროთ ჯვარი.

ილიკო და კეკელა (ადგებიან და თავს დაუკრვენ) მადლობელი გახლავართ(გავლენ შუა კარიდან).

გამოსვლა მეოთხე

დავით და ბარბარე

ბარბარე – (შემოდის მარჯვნივ კარით, საქორწილოთ მორთული, დავითს თავს დაუკრავს და ეტყვის) კნიაზო, რა ხმაურობა იყო, აქ ვინ იყვნენ? უთუოთ მაყრები იქნებოდნენ(გაკვირვებით) თქვენ რატომ არ მორთულხართ საქორწილოთა?

დავით - (შეჭმუნვით) ეჰ, დამეხსენ ერთი, რა დროს მორთვაა, ჯავრით აღარა ვარ.

ბარბარე – შენთან ჯავრს რა ხელი აქვს, ჯვარი გეწეროს.

დავით – რაღა რა ხელი აქვს, შე დალოცვილო, მაშინვე შემატყობინებდი, თუ მაზლის ქალი გყვანდა.

ბარბარე – მყვანდეს, რა არის?

დავით – რაღა რა არის, იმასა და ერთს ყმაწვილს ერთმანეთი ჰყვარებიათ, ცოლქმრობის პირობა ჰქონიათ, ახლა თურმე შენა შენს მაზლის ქალსა დოვლათს ხომ

ართმევ, თითონ იმასაც ერთს ვიღასაც აძლევ, აბა, ეს სადაური წესია?! ექამდინ აქ იყვნენ და ტიროდენ, იმათმა ცოდომ დამწვა.

ბარბარე – რა დროს ეგ არის, ჩვენ ჯვარი დავიწეროთ, იმან ვინ აკითხვინებს? ვისაც მინდა, მივსცემ.

დავით – ახირებულია, თქვენმა მზემა, იმის უნებურათ როგორ მისცემ? ეგ წესი არ არის! მიეცი თავისი წილი, რას ემრთლები? ჩემთვინ არ გინდა მოსაცემათ? მე თანახმა ვარ, მიეცი.

ბარბარე – ეჰ, რას ბძანებ, კნიაზო? ერთი გროშიც არ მივცემ. უნდოდეს, სამასი თუმანი წაიღოს, თუ არა და, წავიდეს, საცა უნდა, ქონება სულ ჩემია.

დავით – შენ რომ არ მისცემ, მე მივსცემ.

ბარბარე – მერე საიდან მისცემ?

დავით – ამ სახლის ქონებიდან. თითონ ამ სახლებსაც იმათ მივსცემ.

ბარბარე – შენი რა არის, რომ მისცემ?

დავით – შენგან მოცემული წერილის ძალით ჩემია.

ბარბარე – როცა კნეინი გავხდები, მაშინ იქნება შენი, წინდაწინ რათ იქნება?

დავით – იმათ კი წილი მიეცი და კიდევ კნეინა გახდი, ვინ გიშლის?

ბარბარე – შენ რა გენაღვლება, მე ვიცი და იმათა. უჩემოთ შენ რა დავი გაქვს, შენ როგორ მისცემ?

დავით – შენ აგრე სთქვი და მე ვიცი, როგორ მივსცემ.

ბარბარე – (პუბლიკას) ხედამთ, ჩემი მაზლის ქალუას კნიაზი როგორ გადაურევია? ეს როგორ დაუთმო, სახლში დავარჩობ! (დავითს) კნიაზო, მე მკითხავი აგრე არ მითხრა, რომ შენ ჩემთან ჩხუბს იქმოდი.

დავით – მე მკითხვებისა არა ვიცი რა, როგორც ვსთქვი, ისე ავასრულებ, მე უსვინდისობას ვერა ვიქ.

ბარბარე – კნიაზო, ქართველურათ ნუ გაგიჟდები, მოდი, ჯერ ჯვარი დავიწეროთ, კნეინო გავხდე და მერე ვილაპარაკოთ, აგერ სტუმრებიც მოვლენ, სირცხვილია, მომზადებული არ ვიქნებით.

დავით – რას როხმ, ვინ გაგიჟებულა! არა, შენ ღმერთი გაქვს, ოთხმოც წელს დედაკაცი ქორწილს ეპირები და ახალგაზრდა ქალ-ყრმას კი გინდა გული დაწვა, საყვარელს აშორებ და ერთს ვიღასაც ოხერს აძლევ?!

ბარბარე – კნიაზის მზემა, ოხერი არ არის, თოროზოვია.

დავით – თუნდა თოროზა იყოს, თუნდა თოროზას გუდა. მე როგორც გელაპარაკები, ისე შევასრულებ, ბევრი ლაპარაკი არ ვიცი (იწევს წასასვლელად).

ბარბარე – (იჭერს) რო მიხვალ, სად მიხვალ, კნეინას არა მხდი? სულ წაგართმევ, რაც მოგეცი, თვალს მოგთხრი და ისე გავხდები კნეინა.

დავით (გაჯავრებით) - ჯანი გავარდეს, ბებერო ქოფაკო, გინდა კნეინა გახდი და, რაც გინდა, ქენი.

ბარბარე – (გაკვირვებით პუბლიკას) ეს რა ბიაბრუ ყოფილა! (დავითს) ჯანი შენ გაგვარდეს, კუტრო კნიაზო, აბა, ჯვარს ნუ დაიწერ, მიყურე, რა გიყო, ეხლავ გიჩივლებ.

დავით – თავი ქვასა ჰკარ. წადი, საცა გინდა, მიჩივლე (გავარდება შუა კარიდგან საჩქაროთ)

ბარბარე – (მისდევს უკან ყვირილით) კნიაზო, აქ მობრუნდი, გეტყვი რასმე. (მერე პუბლიკისაკენ მობრუნდება, ორივე მუხლებზედ ხელს დაიკრამს და იტყვის) გენაცვალეთ, ეს რა მამდის, ვერც კნეინო ვხდები და დოვლათსაც მართმევენ! (მივა, ბიჭს გასძახებს მარჯვნივ კარებიდგან) გიორგა, წადი, ერთი მინასას დაუძახე, ჩქარა აქ მოვიდეს. (თითონ მივა დივანზედ მისვენება ნაღვლიანის სახით და იტყვის) უიი იმ აჩკინ! (ამ დროს შემოდის მინასა გაჩქარებით)

გამოსვლა მეხუთე

ბარბარე და მინასა

მინასა – (შემოვა შუა კარიდან და მივარდება ბარბარეს) ბარბარე, რა ამბავია?

ბარბარე – მინაჯან, მიშველე, კნიაზი გამგიჟებია.

მინასა – ბას, ნავთლუღს გავგზავნოთ გიჟების ბოლნიცაში.

ბარბარე – არა, აგრე ხომ არა, ჯვარს აღარ იწერს. მეუბნება, ნახევარი დოვლათი შენი მაზლის ქალი კეკელუას მიეციო.

მინასა – (გაკვირვებით) ვა, იმან შენი დოვლათთან რა ხელი აქს? (პუბლიკას) ვითომ მე არაფერი არ ვიცი.

ბარბარე – ეგ არ არის? აბა რა ვქნა, მეტი ღონე არ არის, უნდა ვიჩივლო.

მინასა – მამაცხონებულო, ერთიც დავიდარაბი გახადე, გეტყვიან закону нету, სამოცდაათი წლის ზემოთ ქორწილი აღარ იქნებაო. ერთიც, მატრიკი მოგთხოვენ, იქ შენ სამოცდაშვიდმეტი წლისა წერიხარ.

ბარბარე – მაშ, რა უყო, წილი როგორ მივცე? ჩემი ქმარი სულ მე დამიგდო თავისი დოვლათიცა და თავისი ძმისაცა.

მინასა – ვა, ასე ვთქოთ, თავის დოვლათი მოგცა, თავისი ძმის დოვლათი შენ როგორ მოგცემდა?

ბარბარე – თავისი ძმამ თავისი დოვლათი სულ იმან აჩუქა.

მინასა – მერე ანდერძის წერილი ჰქონდა?

ბარბარე – ძმები იყვნენ, რა ანდერძი უნდოდა.

მინასა – ბას, შენი ქმარი რომ შენდაგიგდო, არც იმაზე გაქს ანდერძის წერილი?

ბარბარე – არა, სიტყვით მითხრა, რო კვდებოდა, ჩემი და ჩემი ძმის დოვლათი სულ შენთვის მამიციაო, კეკელუა კი გაათხოვეო და სხვა სულ შენი იყოსო.

მინასა – (პუბლიკას) მე რო ანგარიშებს ვხედამ და ეს კნეინობიდან ცარიელი დამრჩება. ვეცადო, როგორმე ჩემი ფულები დავაძრო. (ბარბარეს) დალოცვილო, რუსები ამბობენ бумага და бумагуо. გეტყვიან, რაკი ქაღალდი нету, наследник kekeluao, твоя სამკვდრო возми да ступайо.

ბარბარე – არა, მინასჯან, გეთაყვანე, უნდა მომიხერხო როგორმე, მეტი ღონე არ არის.

მინასა – ვა, დავიდარაბაში გავება? რა უნდა მოგიხერხო? მთხარ, გამირიგეო, გაგირიგე. მე ხომ ღვდელმა არა ვარ, ჯვარი დაგწეროთ. თუ უიმისოთ არ გირთამს, მიეცი წილი

კეკელუასა, მე რა ვქნა დალოცვილო, ერთიც მე შეგირთო, რო ექვსი ქალი შენ მიშობო, დუჟინი გამიხდეს? ჯერ, ჰალა, რაც მყავს, იმისი ხომ მადრიელი ცარ და! (ამ დროს შემოვარდება შუა კარიდან მინასას ბიჭი პეტრიკა და სწვდება მინასას)

პეტრიკა – (სწვდება ყურზედ) ყური მამე, აღა ყური.

მინასა (გაკვირვებით) - ვა, გაგიჟდი, ბიჭო? (დაიყვირებს) პოლიცია, დერჯი იამუ!

პეტრიკა – რავა გავგიჟდი, შენ უბედურო, ყური მამე, ყური (სწვდება ყურზედ) უშველებელი ბოფში გყავს.

მნასა – ვა, რას მიჰქარამ, ბიჭო, მე ბუში ვინ მამცა?

პეტრიკა – რა ბუში, ბღარი გყავს. აპა, ვერ გაიგე? მომე ყური (სწვდება ყურზედ)

მნასა ტო, დაიკარგე იქით, ღარი რათ მინდა, რას მიჰქარამ?

პეტრიკა – (პუბლიკას) სუნელია უბედური, ვერა გავაგებინე რა(მინასას) აღა, ვაჟი გეყოლა, ვერ გეიგე ახლაც? (სწვდება ყურზედ) მამე აპა ყური.

მინასა – ვა, ბიჭო, ყური მეტკინა, ყური (პუბლიკას სიხარულით) გეთაყვანეთ, ვაჟი მყოლია, ახლა ჩემი საქმე აქეთ მოდის (ბარბარეს) შენი დავიდარაბის თავი არა მაქ, წავიდე, ერთი, ჩემი ცოლი ვნახო. (პეტრიკას) ბიჭო, შენთვინ სამახარობლოთ ერთი ღორის საქალამნე მიჩუქებია (თითონ მიდის გასასვლელად)

პეტრიკა – (თავს დაუკრამს) უკეთ ნუ ააშენა ღმერთმა შენი ოჯახი. (პუბლიკას) თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემს თავს, რომ ბოფში მთლა არ გავდეს მამამისს, ვინცღა რუსს გავს, ვინცღას.

ბარბარე – (აყენებს მინასას) მინასჯან, ოღონც ერთი კნეინო გავხდე და, ჯანი გავარდეს, მივცემ კეკელუას ნახევარ დოვლათს, ერთი კნიაზი მოიყვანე.

მინასა – ბას, კარგი, შენ შიგნით ოთახში შედი, იქ მოიცადე, მე წავალ, ჯერ ერთი, ჩემი ცოლი ვნახამ, მიულოცო, მერე კნიაზი თან მოვიტან და მოვალ (გავა მინასა შუა კარით და პეტრიკასც თან გაჰყვება. ბარბარე გავა მარჯვნივ კარით)

გამოსვლა მეექვსე

ილიკო და კეკელუა

(შემოვლენ ორივ ერთად კლავი კლავს გაყრილი მარცხენა კარიდამ, მოვლენ წინ სცენაზედ, კრესლებზედ დასხდებიან და ლაპარაკობენ)

კეკელა – ილიკოჯან, მე როგორღაც ეჭვი ავიღე, ვითომც ძალუა ჩემი დავითს იბარებდეს, რომ ჩვენთვის არა მოაცემინოს რა. მართლა, ერთი რო უარი გვითხრას, რაღა გვეშველება, ხელში არა გვიჭირამს რა! როგორც იყოს, ეხლავ უნდა ბოლო მოუღოთ ამ საქმესა, თორემ მერე გაგვიძნელდება.

ილიკო – მართალს ანბობ, ღმერთმან იცის, ახლა ცუდი დრო არის, რა ვიცი, კაცის თვალი ხარბია, ერთი რო გადათქვას, მერე რა უყო?!

კეკელა – წავიდეთ, დავითი ვნახოთ. თუ ეხლავ არ მოგვცეს ჩვენი წილი ქონება, ქორწილი მოუშალოთ და, როგორც იყოს, ჩვენი წილი დოვლათი ეხლავ გამოვიტანოთ.

ილიკო – ძალიან კარგი იქნება(ადგებიან წასასვლელად)

კეკელა – ჯერ მოდი, ერთი ნათლიაჩემი ვნახოთ, ჩვენი სახლის გარემოება იმან კარგათ იცის, ვკითხოთ და ისე მოვიქცეთ.

ილიკო - ეგ ყველას ჯობია, (ტყრს დაუგდებს შუა კარისკენ) კეკელი, ვიღაც მოდის(შემოდის გრიგოლ)

გამოსვლა მეშვიდე

იგინივე და გრიგოლ

გრიგოლ (შემოვა შუა კარიდგან და თავს დაუკრავს) ბატონებს ვახლავარ (კეკელას) კეკელი, რასა იქ, როგორ მშვიდობითა ხარ?

კეკელა – გახლავარ, ნათლი მინდოდი და განახე.

გრიგოლ – კეკელი, მე შევიტყე, შენ ქორწილს ეპირები, ერთი, რატომ არ შემატყობინე? (მიხედამს ილიკოს) ეს ყმაწვილი ვინ ბძანდება, თქვენი საქმრო ხომ არ არის?

კეკელა – (გაწითლდება. სიცილით და მორცხვობით) რა მოგახსენო...

გრიგოლ – რო გეცინება, უთუოდ ის იქნება(ილიკოს) კითხვისათვის უკაცრაოთ არ ვიყო, თქვენ ვინა ბძანდებით?

ილიკო – მე გახლავარ, შენი ჭირიმე, თავადი ილიკო გურგენიძე.

გრიგოლ- ჰო, სწორეთ თქვენ ბძანებულხართ ჩემის ნათლულის საქმრო. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა კეკელას ბედნიერება. კეთილი იყოს ყმაწვილო (ხელს ჩამოართმევს) ღმერთმა ერთმანეთს შეგაბეროთ.

ილიკო – მადლობელი გახლავართ, შენი ჭირიმე, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

გრიგოლ – კეკელი, ერთს მკითხავდი, შე დალოცვილო, თუ ქორწილს ეპირებოდი, შენი მტერი ხომ არა ვარ.

კეკელა – დანაშაული მაქვს, ნათლი, მაგრამ ჯერ საქმე ზედ არ მომეყვანა, იმისთვის ვერ შეგატყობინე და არც თუ აქ მეგონეთ თქვენა.

გრიგოლ – ვერ შემატყობინე რომელია, ერთი მიკითხამდი, იქნება, კი აქ ვიყავი. აბა, შენს თავად რა იცი, ჯერ ყმაწვილი ხარ. რო ქორწილდები, აბა, რა მიგაქვს მზითვათა?

კეკელა – თავი რომ მოუკვდეს ძალუაჩემსა, ნახევარს ქონებას ვთხოვ და იმაზედაც მაწვალებს.

გრიგოლ – მერე ნახევარს რათა სჯერდები, ქონება სულ შენ გეკუთვნის (პუბლიკას) ეს გაგიგონიათ, კაცმა თავისი დოვლათი თითონ დაჰკარგოს?

კეკელა – აბა, როგორია, ნათლი? დავას ხომ არ გამოუდგები, ჯანი გავარდეს,თავის ქმრის დოვლათი იმას ჰქონდეს და მამიჩემის დოვლათი მე მომცეს.

გრიგოლ – ჰქონდეს რომელია, ერთი არა მკითხამ? მამიშენის დოვლათი ხომ შენია, ბიძაშენმაც თავისი წილი ქონება შენ გაჩუქა, ანდერძის წერილი დაამტკიცებინა შენს სახელზედ და მე მამაბარა. ეს არც მამაშენმა იცოდა, ამიტომ რომ ის საწყალიც ხომ ერთს კვირაზედ ძმას უკან გამოუდგა და მეც აქ არ შევესწარ, რომ იმისთვინ შემეტყობინებინა, და არც შენ გითხარი, რომ მინდოდა, ისე უეცრათ მომეხარებინა და ყოველი დოვლათი შენთვის ჩამებარებინა ძალუაშენის გაუგებლივ.

ილიკო და კეკელა (სიხარულით) მართლა, ნათლი, გეთაყვანე? (მოეხვევიან და აკოცებენ).

გრიგოლ – მართლა, თქვენმა მზემ, აი, ბატონებო, ჩემსას წამობრძანდით, გიჩვენოთ ანდერძის წერილი და, სანამ ბარბარეს ჯვარი დაუწერია, მინამ ვეცადნეთ, თორემ მერე საქმე გაგვიძნელდება. (გავლენ სამნივ ერთად შუა კარიდგან)

გამოსვლა მერვე

მინასა და დავით

(შემოვლენ შუა კარიდგან)

მინასა – აი, დაბძანდი, კნიაზო, დივანზედ. ბარბარე დაუძახებ. (დავით დასჯდება, მინასა მივა და მარჯვნივ კარიდან გასძახებს) ბარბარე!

ბარბარე – (კულისიდან ხმას მოსცემს) ჰაამმე.

მინასა – კნიაზი მომიტანია, შენც აქ გამოდი, ბარემ მორჩეს საქმე, ჯვარი დაიწერეთ.

ბარბარე – ეხლავ გიახლები, მინასჯან.

მინასა – (მივა, შუა კარიდან ყურს დაუგდებს და ეტყვის დავითს) კნიაზო, მგონია სტუმრები მოდიან (სტუმრები გააღებენ შუა კარს და შემოდიან ერთათა)

დავით – (მიეგებება კარებში და ეტყვის) მობძანდით, ბატონებო, თქვენი ჭირიმე, დაბძანდით(დავით და მინასა მოართმევენ სკამებსა და დასხდებიან. ბარბარე შემოდის საქორწილოთ მორთული, სტუმრები ფეხზედ აუდგებიან, თავს დაუკვრენ და ეტყვიან)

სტუმრები – მოგვილოცავს კნეინობა, ღმერთმა ერთმანეთს შეგაბეროთ.

მინასა – (პუბლიკას) ვა, რაღა დაბერება უნდათ, ბებრები არიან და ბებრები.

ბარბარე – (თავს დაუკრავს სტუმრებსა) მადლობელი გახლავართ, ბატონებო. (მოუჯდება დავითს გვერდზედ და ყველანი დასხდებიან).

მინასა – (დავითს) კნიაზო, რაღას ელი, ბარემ ჯვარი დაიწერე რაღა, წავიდეთ საყდარში, ერთი გული დავიამო.

დავით – მოიცა, ილიკო და კეკელაც წავიდნენ მოსამზადებლათ, ისინიც მოვიდნენ და ერთათ წავიდეთ.

მინასა – ჩვენ რომ წავალთ, იმათ გზიდან შევატყობინებ, მოვიდნენ საყდარში.

დავით – არა, მაინც ბიჭი გამიგზავნია ეკლესიაში, შეიტყოს, ღვდელი იქ არის, თუ არა.

გიორგა – (შემოდის შუა კარიდგან) ბატონო, ღვდელმა მოგახსენათ, მობძანდით, საყდარში გელითო.

დავით – მაშ, ჩვენ წავიდეთ (მინასას) მინას, შენ ილიკოს შეატყობინე(ბარბარეს ხელს მოჰკიდებს, მიჰყავს და ყველანი თან მისდევენ. შუა კარებთან რომ მივლენ, უეცრათ გარედან დააღებენ კარებსა და შემოდიან კვარტალნი, დესეტნიკი, ილიკო და კეკელა)

გამოსვლა მეცხრე

ერთობით ზემოთ ხსენებულნი

კვარტალნი – ბატონებო, მოითმინეთ, თქვენთან საქმე მაქვს.

სტუმრები (გაჰკვირდებიან და ერთმანეთში იტყვიან) ეს რა ანბავია?!

მინასა – (კვარტალნს) ვა, რა დროს საქმეა, ჯერ ჰალა, ქორწილია.

კვარტალნი – მე ქორწილისა არა ვიცი რა (კეკელას) აბა, მიჩვენე, რა არის თქვენი ქონება.

კეკელა – (უჩვენებს დეკორაციას) აი, სახლები ეს გახლავსთ თავის მოწყობილობითა, თუ ზინათი, თუ გაცემულობა, თუ ფულ, თუ ვერცხლეული (დაანახვებს სკივრსა), აი, სულ ამ სკივრში გახლავსთ.

მინასა – (კვარტალნს)აფიცარ, ერთი აქ მობძანდი (მიიყვანს წინ სცენაზედ და ჩუმათ ეუბნება) ერთს თუმანს მოგცემ, ამადამ ეგ საქმე დააყენე.

კვარტალნი – (გაჯავრებით) Пошель вон... მე მოქრთამე არ გახლავარ!

მინასა – „კვარტალნს ჯერ ფეხებში დაუწყებს ცქერას, მერე მობრუნდება და პუბლიკას ეტყვის) მამა არ წაუწნყდეს, თუ ამან ქრთამი აიღოს, ხამია ჰა.

კვარტალნი – (უბიდან ამოიღებს ქაღალდსა და კეკელას მისცემს) აი, ბატონო, ეს ვვოდნის ლისტი, ყოველი ქონება თქვენთვის ჩამიბარებია.

ბარბარე (გაჯავრებით) როგორ თუ ჩაგიბარებია, მაგას ჩემის ქრმის დოვლათთან რა ხელი აქვს? მერე ვინ დაანებებს, რო აბარებ?(კეკელას) დამაცა, შე მუზმუზელავ, მაგ ცხვირ-პირს სულ გაგილი კატასავითა! იმიტომ დაძვრებოდი აქეთ-იქით, რომ ამაებს ახერხებდი? შენი სინათლის დაბრმავებამ, ეხლავ მოგართმევ, არ გნებავს!

კეკელა – ჯანსაც გაგადებინებ და ისე წავიღებ! ბებერი რო მიყმაწვილდები და კნეინა ხდები, უი შენ თიებსა! მაშინ ხომ კარგი იქნებოდა, რომ მამიჩემის დოვლათი შენ წაგეღო?

ბარბარე – აბა, ერთი ვნახოთ, წაიღე შე ნუ მამიკვდები, ეხლავ დაგანებებ, აი!

კვარტალნი –ტყუილათ ნუ ჯავრობ, მე დავანებებ.

დავით (შეტევით) დაანებებ, დავლაობაა? მაგან თავის ქრმის დოვლათ სულ მე მამცა დამტკიცებულის წერილითა.

კვარტალნი – მე წერილისა არა ვიცი რა. როგორც ბრძანება მქვს, ისე უნდა ავასრულო. (კეკელას) სკივრის გასაღები ვისა აქვს, მითხარი?

კეკელა – მნასას აბარია.

დავით – ვაჟო, გასაღებთან რა ხელი გაქვს, არ გეყურება, რასაც გელაპარაკები? ღმერთსა ვფიცამ, წადი-მეთქი, თორემ ერთი სისხლი მოგვიხდება.

კვარტალნი – მოხდება და ციხეში ბევრი ალაგია, იქ დაჭკვიანება იციან. მე გირჩევ, შფოთს ნუ იქთ, თორემ უფრო ცუდათ მოგივათ(მინასას) მოიტა, გასაღები მამეცი!

მინასა – ვა, რა მოგიბარებია, რასა მთხოვ?

კვარტალნი – მამეცი-მეთქი, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამ!

მინასა – ვა, მიზამ რომელია, ბას, დავიღუპო? ჩემი ექვსასი თუმანი (აჩვენებს სკივრს) მაგ სკივრიდან უნდა ავიღო.

დავით – (კვარტალნის) თქვენ არ გესმით თავი დაანებე-მეთქი, თორემ მე ვიცი, საცა მოგცემ. თუ საბუთი აქვს რამე კეკელას, სუდით იძიოს, პოლიციას ძალა არა აქვს, ამოდენა საქმის განხილვაში შევიდეს.

კვარტალნი – (დაიყვრებს) Ваше сиательство, წინააღმდეგი ნუ მიხდები, თორემ Я приму мерка полиции.

დავით – აბა, ერთი მიიღე და ვნახოთ, რასა იქ.

კვარტალნი (დესეტნიკს) – (დესეტნკი მივა და სკივრს ტეხას დაუწყებს).

ბარბარე – (მივარდება გაჯავრებული დესეტნიკსა, ხელსა ჰკრამს და ეტყვის) იქით დაიკარგე, თორემ მაგ თავს ზედ შუაზედ გაგიხეთქამ (მერე სკივრს გადააწვება)

კვარტალნი – Что он делает, знат ничего ненада, я слихал крепкий приказ моему начальнику (მივა და ბარბარეს აყენებს სკივრიდან). ადექი, უნდა ჩავაბარო, წინააღმდეგობას ნუ ჩადიხარ, თორემ არ ვიცი, რა გიყო.

დავით და მინასა (ერთათ გაჯავრებით) რა ამბავია, ბატონებო, ძალაობა ხომ არ არის, აქ სამართალია.

დავით (გრიგოლს) ეს სულ შენი საქმეა, აბა, დამაცალე, რა გიყო!

გრიგოლ – ძალიან კარგი მიქნია, სწორეთ ჩემი საქმეა, აბა, ერთი ვნახოთ, რას მიზამ.

კვარტალნი – კნიაზო, კიდევ გირჩევთ, შფოთს ნუ ჩადიხართ, თორემ, მერწმუნეთ, ცუდად მოგივათ.

დავით – მამივა, შენუ მამიკვდები, ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა(შეტევით) თუ კაცი იქნები და ჩააბარებ!

კვარტალნი – А... если так, я знаит телеричь. (მინასას) სულ შენი საქმეა, მიცქირე, რა გიყო (დესეტნიკს) Ступай, два-три свидетель принесли здесь, я такой акть напишить, все пропаль подсудум, скажу, все Минас зделал бунты.

მინასა – (დააყენებს დესეტნიკს) Постой пожолусты да (პუბლიკას) კარგათ არ უნახავთ! (დავითს) რა გინდა ქნა, ძმავ, ესენი წყილიდან აქლემი შობენ (ბარბარეს) ერთი ადექი სკივრიდან (ააყენებს) მამა გიცხონდება, ხათაბალაში გინდა ჩამაგდო, ექვსასი თუმანზედ კიდენ ექვსასი დავადო? ერთი გავიგოთ, რა ანბავია. (კვარტალნის) ერთიც, რას ყვირულობ, რომ წორეთ რუსულიც ვერ ლაპარაკობ. ააზ-ბუკი, ვედი ღლაღოლ გისწავლია, ლამის, ქვეყანა აიკლო.

კვარტალნი – მე ღრამატიკაც მიკითხავს.

მინასა – რა გამოვიდა, რო გიკითხავს? (პუბლიკას) თავში კი არა შესვლია რა, და.

დავით და ბარბარე (ერთათ) ერთი, ძალიან რომ ყვირი, რა ანბავია, რომლის საბუთით გვართმევ ქონებასა?

კვარტალნი – ეხლავ მოგახსენებთ, ბატონებო, რომლის საბუთითაც გართმევთ (ამოიღებს უბიდგან ორს ქაღალდსა და უჩვენებს) აი, ამის ძალით გართმევთ.

დავით – აბა, ერთი წაგვიკითხე, რა არის.

კვარტალნი – (წაუკითხავს მიწერილობასა) Приказали: препроводив присем духовное завещание на имия Кекели, урожденной Тулугчевой предписать В. Б. по получении сего, тотчас ввести ей вовладении завещенным имением согласно завещанию... (ამას რომ გაათავებს, წაუკითხავს ანდერძის წერილის სოდერჟანიესა). შემდეგ ჩემის გარდაცვალებისა ყოველივე ჩემი ქონება, თუ მოძრავი და თუ უძრავი, შენ, ჩემის ძმისწულის კეკელასთვის მიანდერძებია. ჩემის სიკვდილის შემდეგ შენ ჰფლობდე მაზედ. ჩემს ცოლს შენთან ხელი არაფერში არა აქვს, რადგანც იმის სამკვდროს სიცოცხლის დროს მოვრჩენილვარ(ანდერძის წერილის წაკითხვას რომ დაასრულებს, დავით, მინასა და ბარბარე სამივ ერთათ დაიყვირებენ სამ-სამჯერ)

მინასა – ვაიმე, ჩემო ექვსასო თუმანო და სამაჭანკლოვ დაღუპულო!

დავით – ვაიმე, ყმა და მამულო დაღუპულო!

ბარბარე – ვაიმე, დოვლათო დაკარგულო და კნეინო ვეღარ გამხდარო!

ილიკო – ბატონებო, მოითმინეთ, რა დაგემართათ? (ყველანი გაჩუმდებიან, მერე ილიკო ეტყვის დავითს) რადგანც თქვენ ჩემს პირველს თხოვნას პატივი დასდეთ და კმაყოფილს მყოფდით, მე იმედეული ვარ, რომ კეკელამ იმის სანაცვლოდ თქვენი ვალები სრულებით გადაგიხადოთ.

კეკელა – დიახ, ბატონი ბძანდებით, დიდის კმაყოფილებით.

დავით – მადლობელი გახლავარ კეთილისმყოფლობისთვის.

მინასა – კეკეჯან, ბას, ჩემი ფულებიც მამცემ(სიცილით) თუ სამაჭანკლოცა(პუბლიკას სიხარულთ) გეთყვანეთ, ახლა რაღა მიჭირს, ჰამ ვაჟი მეყოლა, ჰამ ფულებმა გავისაღე (ბარბარეს) ბარბარე, შენ რას იტყვი? კეკელუამ დოვლათი წაიღო, ილიკოს კეკელუა მიჰყავს, კნიაზ დავითი თავისი ყმა და მამული გამოიხსნის, მეც ჩემი ფულებმა გავასაღებ, მაგრამ შენთან კი უკაცრაოთ, რო კნეინო და ვეღარ კნეინო.

ბარბარე – ვიჰ, გენაცვალეთ, ეს რა მამივიდა! (დივანზედ მიესვენება და გული მიზდის)

მინასა – (პუბლიკას) არა უშავ რა, გადუვლის, გული გაუგრილდება (მერე ეტყვის ქვემო კუპლეტს და ფარდა დაეშვება)

ბატონებო, გევედრებით, თუ რამ ჰპოვეთ ცთომილება,

სულგრძალობით მომიტევეთ შემჩნეული ნაკლულება

ამად, რომე ჯერ ჩემგანა პირველია ეს თხზულება,

ავტორობის ხმა მასმინეთ, არ დამაჩნდეს გულს კლულობა.

(დასასრული).